დამტკიცებულია N04-220 16/11/2020

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

საერთო საცხოვრებელში ცხოვრების წესი

მცხეთა

2020

მუხლი1. საერთო საცხოვრებელში განსახლების უფლება და პირობები

1. საცხოვრებელ ფართში დროებით ცხოვრების უფლება აქვს კოლეჯის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს (მომზადება გადამზადების მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტები , ვერ სარგებლობენ საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლებით, თუნდაც ჰქონდეთ სტუდენტის აქტიური სტატუსი) და კოლეჯის პროფესიულ მასწავლებლებს.
2. საერთო საცხოვრებელში ცხოვრების მოთხოვნასთან დაკავშირებით, დაინტერესებულმა პირმა უნდა წარადგინოს განცხადება, საერთო საცხოვრებლით დაკმაყოფილების თაობაზე.
3. მობინადრის საერთო საცხოვრებელში ცხოვრების ვადა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.
4. განცხადებების გადარჩევა ხდება კოლეჯის ბაზაზე შექმნილი - საერთო საცხოვრებელში ცხოვრების მსურველთა (სტუდენტი, პედაგოგი) განცხადებების განმხილველი კომისიის მიერ.
5. მობინადრეთა საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილება ხდება, განცხადებების გადარჩევის შემდგომ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.
6. საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლების განსაზღვრული ვადის ამოწურვამდე 10 სამუშაო დღით ადრე, კოლეჯის ადმინისტრაცია აცნობებს მობინადრეს , ვადის ამოწურვის შესახებ. ხოლო მობინადრე ვალდებულია საერთო საცხოვრებლით სარგებლობის ვადის ამოწურვიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში გაათავისუფლოს საცხოვრებელი ფართი და დააბრუნოს გადაცემული ქონება პირვანდელ მდგომარეობაში ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით; წინააღმდეგ შემთხვევაში, კოლეჯის ადმინისტრაციას უფლება აქვს საცხოვრებელი ფართი გამოიყენოს დანიშნულებისამებრ. ასეთ შემთხვევაში, ყოფილი მობინადრის პირად ნივთებზე ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს.

მუხლი2.
საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოპოვების პროცედუ რა და ხელშეკრულების დადება

1. საერთო საცხოვრებლით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად სტუდენტი/პედაგოგი ვალდებულია წარმოადგინოს განცხადება , საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლების მინიჭების მიზნით.
2. კოლეჯის ადმინისტრაცია ადგენს საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლების მქონე პირებს, ხოლო საერთო საცხოვრებელში შესახლების გადაწყვეტილება მიიღება შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე, პრიორიტეტულობის გათვალისწინებით -
   პრიორიტეტი მიენიჭებათ :

სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირებს; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილის სტატუსის მქონე პირებს; პირებს, რომელთა საცხოვრებელი დაშორებულია სასწავლებლიდან არანაკლებ 50 კმ - მანძილისა; შშმ პირებს; მაღალთმიანი რეგიონების მცხოვრებლებს;
პრიორიტეტულია ასევე , მოდულურ პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები; დუალურ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები , ნაკლები პრიორიტეტულობით სარგებლობენ.
3.პრიორიტეტების განხილვისას, თანაბარ პირობებში მყოფი პირების, საერთო საცხოვრებლით დაკმაყოფილების საკითხი წყდება კენჭისყრის მეშვეობით.
4. შესახლების უფლებამინიჭებულ სტუდენტთან/პედაგოგთან ფორმდება შესაბამისი ხელშეკრულება.

მუხლი 3. საერთო საცხოვრებლის ხელმძღვანელობა

1. კოლეჯის საერთო საცხოვრებლელს მეთვალყურეობას უწევს , საცხოვრებლი კორპუსის ადმინისტრატორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 4. შესახლების პროცედურა

1. ხელშეკრულების დადების შემდგომ, მობინადრეს გადაეცემა ხელშეკრულებით განსაზღვრული საცხოვრებელი ფართი.
2. მობინადრე, საერთო საცხოვრებლით სარგებლობის დაწყებამდე, ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესს, რომლის დებულებებზე თავის თანხმობას ადასტურებს ხელმოწერით. წინამდებარე წესი ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.
3. საცხოვრებელი ფართის ერთი გასაღები მუდმივად უნდა ინახებოდეს საცხოვრებელი კორპუსის ადმინისტრატორთან.

მუხლი 5. მობინადრის უფლება-მოვალეობები

1. მობინადრეს უფლება აქვს:
   ა) იცხოვროს მისთვის გადაცემულ ოთახში და ისარგებლოს ყველა იმ კომუნალური პირობებით, რომელიც არსებობს მის საცხოვრებელ კორპუსში;
   ბ) ისარგებლოს სასწავლო, სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ფართით, საერთო სარგებლობის ინვენტარითა და აღჭურვილობით;

2. მობინადრე ვალდებულია:

   ა) დაიცვას წესრიგი საცხოვრებელ ოთახში.
   ბ) გაუფრთხილდეს მისთვის გადაცემულ უძრავ და მოძრავ ქონებას;
   გ) სტუდენტი ვალდებულია საერთო საცხოვრებელში გამოცხადეს ზამთრის პერიოდში არა უგვიანეს 20:00 საათისა,ზაფხულის პერიოდში არა უგვიანეს 22:00 საათისა. აღნიშნული დროის შემდეგ აკრძალულია საერთო საცხოვრებლიდან სტუდენტის გასვლა . აუცილებლობის შემთხვევაში გააფრთხილოს საცხოვრებელი კორპუსის ადმინისტრატორი.
   დ) არ დაარღვიოს სხვა მობინადრეთა სიმშვიდე და უსაფრთხოება;

ე) დაიცვას სანიტარულ-ჰიგიენური, ტექნიკური და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები;
ვ) არ იყოლიოს შინაური ცხოველი საერთო საცხოვრებელში;
ზ) აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას მის სარგებლობაში არსებული ოთახის კარების საკეტის შეცვლის შესახებ და გადასცეს გასაღების ერთი ასლი კოლეჯის, საერთო საცხოვრებლის ადმინისტრატორს.
თ) აუნაზღაუროს კოლეჯს მისი ბრალეული ქმედებით, ან უმოქმედობით მიყენებული ზიანი, საერთო საცხოვრებელში არსებულ ინვენტარზე თუ სხვა სახის უძრავ მოძრავ ქონებაზე- მიყენებული ზიანის რელევანტურად.
ი) საერთო საცხოვრებლით სარგებლობის შეწყვეტის, ასევე დროებით (ერთ თვეზე მეტი ვადით) სარგებლობის შეჩერების შემთხვევაში წინასწარ, 7 (შვიდი)დღით ადრე აცნობოს კოლეჯის ადმინისტრაციას;
კ) კოლეჯის საჭიროებიდან გამომდინარე, კოლეჯის ადმინისტრაციის მითითებით გადავიდეს სხვა ოთახში, ან სხვა კორპუსში საცხოვრებლად;
ლ) სტუდენტი ვალდებულია დატოვოს საერთო საცხოვრებელი, თუ ის არ ემორჩილება საერთო საცხოვრებლით სარგებლობის წესებს.

მუხლი 6. აკრძალვები

სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში მცხოვრებ პირებს სასტიკად ეკრძალებათ:

1. თამბაქოს მოწევა შენობაში და კოლეჯის ტერიტორიაზე
2. ალკოჰოლური,ნარკოტიკური და სხვა პსიქოტროპული ნივთიერებების შემოტანა და მოხმარება.
3. ხმაური; ისეთ ხმაზე მაგნიტაფონის,ტელეფონის,რადიოს მოსმენა რითაც შეაწუხებს ირგვლივმყოფებს.
4. ოთახებში შეკრება და წვეულების მოწყობა
5. საძინებლის კედლებზე ზოგადი წესებისათვის შეუფერებელი სურათების,განცხადებების და ა.შ. განთავსება.

მუხლი 7 . სანქციები

1. სტუდენთა საერთო საცხვივრებლით სარგებლობის წესებით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში გამოყენებული იქნება შემდეგი სანქციები:

   ა)შენიშვნა
   ბ)საყვედური
   გ)სასტიკი საყვედური
   დ)საცხოვრებლიდან გასახლება

2. საერთო საცხოვრებელში შესახლებულ პირთა პასუხისმგებლობის ზომის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, საცხოვრებლი კორპუსის ადმინისტრატორის მიერ წარდგენილი წერილის საფუძველზე.

3. საერთო საცხოვრებელში შესახლებული თითოეული პირი არის ჩვენი საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი,სარგებლობს კონსტიტუციით და ადამიანის უფლებათა დეკლრაციით განსაზღვრული ყველა უფლებით.ამავე დროს დადგენილი მართლწესრიგის დარღვევაზე პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. საერთო საცხოვრებელში წესრიგის რეგულირება

1. საერთო საცხოვრებელში შესვლა-გამოსვლის, წესრიგისა და ჰიგიენური პირობების დაცვის კონტროლი ხორციელდება საცხოვრებლი კორპუსის ადმინისტრატორის მიერ.